ფსიქოლოგიური კონტროლის კავშირი თვითშეფასებასთან, ცხოვრებით კმაყოფილებასთან, დეპრესიასთან და სარისკო ქცევებთან

ქეთევან სოხაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან სოხაძე

2022

აბსტრაქტი

ბავშვის აღზრდა არის ფართო ცნება, რომელიც მოიცავს ბავშვის მიმართ სტაბილურ დამოკიდებულებებსა და ქცევებს. მშობლები, შესაძლოა იყვნენ უფრო მიმღები, პასუხისმგებლები და მხარდამჭერი ბავშვის ფიზიკური, ფსიქო-ემოციური თუ სხვა საჭიროებების მიმართ, ან მეორეს მხრივ მაკონტროლებლები, მომთხოვნი და მათი ავტონომიის შემზღუდავი. ცხადია, მშობლობის ინდივიდუალური თუ სოციუმში არსებული ზოგადი მახასიათებლები ბავშვის შემდგომ განვითარებასთან კავშირშია, რაზეც მრავალი თეორია თუ ემპირიული მასალა მიუთითებს.

ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშობლების ფსიქოლოგიურ კონტროლის კავშირის დადგენა შვილის თვითშეფასებას, ცხოვრებით კმაყოფილებას, დეპრესიასა და პრობლემურ/სარისკო ქცევებს შორის საქართველოში. თავის მხრივ, ფსიქოლოგიური კონტროლის კავშირი შვილის ადაპტაციური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტზე არაერთგზის ნაკვლევია. თუმცა, განსხვავებით უმეტესობა წინარე კვლევებისა, აღნიშნულის შეფასება განხორციელდა ბავშვებსა თუ მოზარდებში და არა ზრდასრულებში.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა დაადასტურა, სუსტი თუმცა, მაინც მნიშვნელოვანი კავშირი მშობლის (დედის-მამის) მხრიდან განცდილ ფსიქოლოგიურ კონტროლსა და ინდივიდის თვითშეფასებას, ცხოვრებით კმაყოფილებას, დეპრესიასა და ასევე, სარისკო ქცევებისა აღქმასა თუ განხორციელებას შორის.

აღსანიშნავია, რომ მშობლების მხრიდან ფსიქოლოგიურ კონტროლისა და სხვა ცვლადების კორელაციის კუთხით, გამოიკვეთა სხვაობები დედისა და მამის მხრიდან განცდილი მსგავსი დამოკიდებულებისა და ქცევის კუთხით. კერძოდ, დედის მხრიდან დამოკიდებულებაზე თუ მიღწევაზე ორიენტირებული კონტროლი არის დაკავშირებული ინდივიდის ადაპტაციის უფრო მეტ ცვლადთან. ხოლო, მამის მხრიდან ფსიქოლოგიური კონტროლი ძირითადად დადებით კორელაციაშია სარისკო ქცევის განხორციელების სიხშირესთან, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ დედები და მამები ასრულებენ განსხვავებულ როლს ბავშვის აღზრდაში. შესაბამისად, მათი აღზრდის

სტილი და პრაქტიკა შვილებთან ურთიერთობისას, ასევე აღნიშნულის კავშირი ადაპტაციის ცვლადებთან შეიძლება განსხვავდებოდეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქოლოგიური (დამოკიდებულებაზე/მიღწევაზე ორიენტირებული) კონტროლი, ცხოვრებით კმაყოფილება, თვითშეფასება, დეპრესია, სარისკო ქცევები

Abstract

Parenting is an utmost broad concept that encompasses stable attitudes and behaviors towards the child. Parents may be more receptive, responsible, and supportive of the child's physical, psycho-emotional, or other needs, or controlling, demanding, and limiting their autonomy. The individual or societal characteristics of parenthood are related to the child's further development, as indicated by many scientific theories or empirical data.

This study aimed to establish the association between parental psychological control and a person's self-esteem, life satisfaction, depression, and problematic/risky behaviors in Georgia. In turn, the connection of psychological control to various aspects of children's adaptive functioning is repeatedly traced. However, unlike most previous studies, this assessment was performed amongst children and/or adolescents and not amongst adults.

The results of the current study confirmed, however weak, still a significant link between the parental (mother-father) psychological control experienced by the child and the child's self-esteem, life satisfaction, depression, and the perception of the intensity of risky behaviors. It is noteworthy that in terms of parental psychological control and the correlation of other variables, differences were identified in terms of whether it occurred from mother or father. Dependency-oriented or achievement-oriented control from mother is associated with more individual adaptation variables. Whereas psychological control by the father is mainly positively correlated with the frequency of risky behaviors, which may be explained by the fact that mothers and fathers play different roles in a child rearing. Consequently, their parenting style and practice in child upbringing, as well as its correlation to adaptation variables, may differ.

Keywords: psychological (dependency/achievement-oriented) control, life satisfaction, self-esteem, depression, risky behaviors

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაწეული პროფესიული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, მათ შორის, სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებით მოცემული რჩევებისთვის, მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნინო სხირტლაძეს.

ასევე, მსურს მადლიერება გამოვხატო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრანტის, ნინო გილაშვილის მიმართ სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებით აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის.